სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/87 07.10. 2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ფინანსური ვალდებულების (სწავლის ქირის) დასაფარავად დახმარების დაწესებასთან დაკავშირებით სტუდენტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 6 აპრილის № 14(14/15) დადგენილების შესაბამისად და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 25 ნოემბრის №91, 2018 წლის 23 მარტის №181 და 2019 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებების გათვალისწინებით:

ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს, გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 6 აპრილის № 14 (14/15) დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტებისა (პირადი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი), საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ფინანსური ვალდებულების (სწავლის ქირის) დასაფარავად დახმარების დაწესებასთან დაკავშირებით სტუდენტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა:

ა) სტუდენტის, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულის შვილი, შემთხვევაში – სტუდენტის დაბადების მოწმობა, გარდაცვლილი პირის გარდაცვალების მოწმობა, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბ) სტუდენტის, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული პირი, შემთხვევაში – იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა.

გ) სტუდენტის, რომელიც არის მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის ოთხი ან მეტი შვილი) ოჯახის წევრი, შემთხვევაში – მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, სტუდენტის და მათი ოჯახის სხვა წევრების დაბადების მოწმობები.

დ) სტუდენტის, რომელიც არის დედმამით ობოლი, შემთხვევაში – სტუდენტის დაბადების მოწმობა და მშობლების გარდაცვალების მოწმობები.

ე) სტუდენტის, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000–ის შემთხვევაში – შესაბამისი ცნობა (ამონაწერი) სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან.

ვ) სტუდენტის, რომელიც არის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც დაავადებულია ქრონიკული დაავადებებით და საჭიროებს მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას, შემთხვევაში – შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო–სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი.

ზ) სტუდენტის, რომელსაც ჰყავს სამი და მეტი შვილის, შემთხვევაში – შვილების დაბადების მოწმობები.

თ) სტუდენტური ოჯახის, როცა მეუღლეები არიან აწსუ–ს სტუდენტები, შემთხვევაში ქორწინების მოწმობა, ცნობა მეუღლის სტუდენტობის შესახებ.

ი) დებულების შესაბამისად რექტორის გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა პირები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ფინანსური ვალდებულების (სწავლის ქირის) დასაფარავად დახმარების დაწესებასთან დაკავშირებით შექმნილი კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებიდან გამომდინარე მოთხოვოს სხვა დოკუმენები, სტუდენტისათვის ფინანსური ვალდებულების (სწავლის ქირის დასაფარავად დახმარების დაწესებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 2. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი: **პროფესორი როლანდ კოპალიანი**